# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

# დადგენილება №01-06-02/25

ქ. თბილისი 26 აპრილი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიების გაცემის წესში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 აპრილის №01-05-04/56 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 26 აპრილის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე სახელობითი სტიპენდიების გაცემის წესში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**